ეროვნული ბიბლიოთეკა

მე—20 საუკუნის 20—იანი წლებიდან საქართველოს ეკლესიამ დიდი დევნა განიცადა, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ანტირელიგიური მოძრაობა და სრული უღმერთობისა და უზნეობის წყვდიადში ჩაგვაგდო. ქართველებმა თითქმის [illegible] გეთ მართლმადიდებლური რწმენა, მივივიწყეთ ქრისტიანული ცხოვრების წესები და წარმართული ზნე—ჩვეულებებ[illegible]ნაურეთ. ამას ადასტურებს ჩვენში დანერგი ლი მიცვალებულის „პატივისცემის“ მახინჯი ფორმები, რომლებიც არაფრით არ შეესაბამება ქრისტიანობას. ვითვალისწინებთ რა მორწმუნეთა დიდ ინტერესს ამ საკითხისადმი, გვსურს შემოგთავაზოთ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის

# განჩინება მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად

ყოველი ოჯახი, მძიმედ განიცდის უახლოესი წევრის გარდაცვალებას და გლოვით გამოხატავს თავის წუხილს, მაგრამ ბოლო დროს ეს დამახინჯებული ფორმით ვლინდება.

ხშირია შემთხვევა, როცა ახლობლები მრავალი წლის ან მთელი სიცოცხლის მანძილზე არ იხდიან შავ სამოსს და ჩამოშორებულნი არიან ყოველდღიურ ცხოვრებას.

უსაზღვრო გლოვა, გოდება ტირილი მეტყველებს ადამიანის ურწმუნოებაზე; იმაზე, რომ მას არ სწამს სულის უკვდავება და თვლის, რომ გარდაცვლილი სამუდამოდ დაკარგულია მისთვის; ამით კი ჭირისუფალი უდიდეს ცოდვას იღებს თავის თავზე, რადგან იგი არასწორი ქცევით მეტად ამძიმებს გარდაცვლილის უკვდავ სულს, ამძიმებს თავისი ოჯახის ცხოვრებას.

ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანის გარდაცვალება არ ნიშნავს მის მოსპობას. ადამიანის სული ცოცხალია, უკვდავია და იგი მარადიულ ცხოვრებაში იმკვიდრებს იმ ადგილს, რასაც თავისი სარწმუნოებითა და ქცევით იმსახურებს.

მიწიერი ჩვენი ცხოვრება არის მომზადება მარადიულობისათვის იგია თითოეული ჩვენგანისათვის უდიდესი გამოცდა.

ბედნიერია, ვინც მართლმადიდებელი სარწმუნოებით, სიყვარულითა და კეთილი საქმით წარდგება ამ გარდაუვალი დღის წინაშე და მართალთა სავანის მკვიდრი გახდება.

ხშირია შემთხვევა როცა კეთილი ადამიანი ადრე ტოვებს ამ წუთისოფელს, ანდა მცირე ასაკისა შეერთვის მარადიულობას. ამაშიც ჩვენ უნდა დავინახოთ განგება უფლისა: ღმერთს ის ინი ნაკლებად ცოდვილნი მიჰყავს თავისთან.

ყოველივე ამის გამო განვაჩინებთ:

1. ავადმყოფს აუცილებლად უნდა მოვუყვანოთ მოძღვარი აღსარებისა და ზიარებისთვის, რადგან წმინდა ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა და ხშირია შემთხვევა, როცა წმინდა ზიარებით სასწაულებრივად განკურნებულა ადამიანი; ასევე მეტად კარგია ავადმყოფისთვის ზეთის კურთხევა.

2. გარდაცვალების შემთხვევაში პირველივე დღიდან დასაფლავებამდე მიცვალებულის თავთან ჩაუქრობლად უნდა ენთოს სანთელი და კანდელი, უნდა იდგეს ხატი ხორბალი წყალი ღვინო, მარილი და დღედაღამ ახლობლების მიერ უნდა იკითხებოდეს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები.

3. ფსალმუნის კითხვა (თუნდაც დღეში მხოლოდ ერთი კანონის) სასურველია, დასაფლავების შემდეგაც ერთი წლის მანძილზე მაინც გაგრძელდეს.

4. გარდაცვლილს გულზე უნდა ეკიდოს ნაკურთხი ჯვარი.

5. თუ მიცვალებულის ახლობლები მოუნათლავია კარგია თუ ისინი გარდაცვლილის დასაფლავებამდე მოინათლებიან; თუ მიცვალებულია მოუნათლავი, მისი მონათვლა არ შეიძლება.

6. საერო პანაშვიდების დროს სასურველია საერო სიმღერებისა და მუსიკის ნაცვლად შესრულდეს საეკლესიო საგალობლები.

7. მიცვალებული უნდა დაიკრძალოს გარდაცვალებიდან 3—5 დღის განმავლობაში.

8. მიცვალებულს არ უნდა ჩაატანონ ზედმეტი ტანსაცმელი და სხვა რაიმე ნივთები.

9. დასაფლავების დღეს, დილით ან წინა ღამეს მოძღვარმა უნდა აუგოს წესი მიცვალებულს და უკურთხოს საფლავის მიწა ღვინო პური მარილი წყალი.

დასაფლავების დღიდანვე საფლავზე უნდა იდგას მღვდლის მიერ ნაკურთხი დროებითი ჯვარი (ხის, ლითონის ან სხვა მასალის) რადგან უჯვრო საფლავს, წმიდა მამების სწავლებით ეშმაკი ეპატრონება.

11. გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ მისი სულის მოსახსენებლად მზადდება მოკრძალებული ქელეხი მხოლოდ უახლოესი ნათესავებისა და ახლობლებისთვის. ქელეხი არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს.

უკეთუ ადამიანი მარხვის დროს გარდაიცვალა, საჭმელი მზადდება მხოლოდ სამარხვო.

12. თუ ადამიანი გარდაიცვალა ხსნილში, კარგია, თუ მისი ახლობლები გარდაცვლილის დასაფლავებამდე შეინახავენ მარხვას.

13. გარდაცვალებიდან 39—ე დღეს მოძღვარმა უნდა შეასრულოს პანაშვიდი, ხოლო მეორმოცე დღეს და წლისთავზე მიცვალებულისთვის უნდა დამზადდეს საკურთხი და ეკლესიაში-შესრულდეს შეკვეთილი წირვა და პანაშვიდი.

14. მიცვალებულის ორმოცი უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან ზუსტად მეორმოცე დღეს, ან წინა დღეს, რადგან მეორმოცე დღეს ხდება გარდაცვლილის სულის დამკვიდრება მისთვის განკუთვნილ სავანეში.

წლისთავიც უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ. ორივე შემთხვევაში მიცვალებულის სულის საოხად გამზადებული საჭმელი მარხვაში უნდა იყოს სამარხვო, ხსნილში—სახსნილო.

15. ყოველ წელიწადს მიცვალებულთა ხსენების დღეს მისი ახლობლები უნდა ამზადებდნენ საკურთხს, რომელსაც დილით წირვის დაწყების წინ, მიიტანენ ტაძარში პანაშვიდისთვის.

16. მეტად კარგია თუ მიცვალებულის მახლობლები გააკეთებენ საკურთხს და ეკლესიაში მოძღვარს შეასრულებინებენ პანაშვიდს გარდაცვლილის დაბადების დღეს, გარდაცვალებისა და ანგელოზის დღეებში.

საკურთხი: ზეთი ღვინო პური წანდილი ან კოლიო (სხვა საჭმელიც შეიძლება).

17. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიცვალებულისათვის, თუ მისი ახლობლები ყოველ შაბათ—კვირას და დღესასწაულის დღეებში ესწრებიან წირვა—ლოცვას, ეზიარებიან და სეფისკვერს აგზავნიან საკურთხეველში გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად.

18. ქრისტიანის საფლავი არ უნდა იყოს მდიდრული. მიცვალებულის სულისთვის უკეთესია, თუ თანხა გაჭირვებულთ დაურიგდება.

19. მოძღვრის მიერ საფლავის კურთხევა კარგია მიცვალებულთა მოხსენების დღეებში.

20. ორმოცი დღის შემდეგ გარდაცვლილის ტანსაცმელი და ნივთები უნდა დაურიგდეთ გაჭირვებულთ.

21. თვითმკვლელობით აღსრულებულის და მოუნათლავისათვის საეკლესიო წესების შესრულება საეკლესიო კანონების თანახმად აკრძალულია. მათ სახელზე მხოლოდ მოწყალება შეიძლება გაიცეს. საერთოდ მიცვალებულის სახელზე მოწყალების გაცემა მეტად კარგია.

თუ ფსიქიურად დაავადებული ადამიანი მოიკლავს თავს მისთვის საეკლესიო კანონის თანახმად, საეკლესიო წესების შესრულება ნებადართულია.

23. გარდაცვლილის ახლობლებს ეძლევათ ლოცვა—კურთხევა, ატარონ შავი ტანსაცმელი 40 დღე ან არაუმეტეს 1 წელი. ერთი წლის შემდეგ შავი სამოსი აუცილებლად უნდა გაიხადოს ყველამ. შვილის მეუღლის ან მეტად ახლობელი ადამიანისადმი სიყვარული უნდა გამოიხატოს არა შავი სამოსის ტარებით, არამედ ლოცვით და მიცვალებულის სულისთვის ღვთის სათნო კეთილ საქმეთა აღსრულებით.

მაშ ასე დაიმახსოვრეთ—მიცვალებულის მოხსენიება და საკურთხის მომზადება არ შეიძლება სადღესასწაულო დღეებში (აღდგომა შობა ფერისცვალება, მარიამობა ამაღლება და ა შ). ეს მკრეხელობაა. შე გახსენებთ რომ არსებობს მიცვალებულთა მოსახსენიებელი საზოგადო დღეები: ხორციელის შაბათი, დიდმარხვის პირველი შაბათი, დიდმარხვის მეორე შაბათი, დიდმარხვის მესამე შაბათი, დიდმარხვის მეოთხე შაბათი, ბრწყინვალე შვიდეულის ოთხ შაბათი, სულთმოფენობის წინა შაბათი (სულის შაბათი), დიმიტრის შაბათი. უახლოესი დღე არის დიმიტრის შაბათი რომელ იც წლეულს ახალი სტილით 5 ნოემბერს აღინიშნება. ამას გარდა საკურთხი უნდა მომზადდეს მიცვალებულის დაბადების, ანგელოზის და გარდაცვალების დღეებში. ამასთან მიცვალებულის სულისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენად მდიდრულ სუფრას გაუშლით ახლობლებს, არამედ რამდენად უფრო გულუხვად შეეწევით ღარიბ—ღატაკთ და უპოვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინიატურები

ბავშვმა ქუჩაში ვიოლინოსაგან ფეხით გათელილი ყვავილი იპოვა, ხელში აიღო და სინანულით დახედა.
—შეშყიანია,—გაუბრაზდა დედა.

* * *

შესვენების დროს ბეთჰოვენის მუსიკა გაისმა.
—სხვა არაფერი გაქვთ მეტიო? —შეწუხდა ვიოლა. თავი დავიმშვიდე. ალბათ ბახი ან მოცარტი უნდოდა.

ზაფხულის მზე კაშკაშებდა.
ქალმა სათვალე გაიკეთა, მზე თვალებს სტკენდა.

* * *

ცირკში, კაცმა მგლის ნიღაბი მოირგო.
მაყურებელი აღფრთოვანებით უკრავს ტაშს. თავს ვიმშვიდებ—ეს ხომ ცირკია.

კაცმა სიწმინდე დაინახა, რომელიც კაშკაშებდა და სინათლედ იღვრებოდა.
—თვალებს გატკენსო,—თვალებზე ხელი დააფარა ვიოლამ.

* * *

ვიოლას წაართვეს და ის ძლიერია,—დამშვიდა სხვამ

* * *

ბავშვმა კიბის საფეხურებზე დაიწყო ასვლა.
—ჩამოვარდებიო,—გაუბრაზდა დედა.

* * *

მხატვარი სამყაროს ხატავდა და ვიოლას გართობა ეგონა.

* * *

ვიოლამ ვიოლას მოატყუილა და დაამშვიდეს, —ალბათ თამაშობსო.

* * *

თავს იმშვიდებენ და გადის დრო.

თ. შაუბულიანი.

# ხალხური მედიცინა გვთავაზობს

**შემოდგომაა, ტემპერატურა იცვლება ხშირია გრიპები, სხვადასხვა დაავადება. დღევანდელი ეკონომიკური გაჭირვების ჟამს ბევრ ჩვენგანს არა აქვს საშუალება აფთიაქში შეიძინოს წამლები**

**გთავაზობთ ბევრი დაავადების სამკურნალო ძალიან მარტივ წესებს, რომლის მომზადება ყველა ოჯახს შეუძლია**

**თუ სასუნთქი გზების კატარი გაწუხებთ**

ხალხური მედიცინა ამ შემთხვევაში გვირჩევს ჩვეულებრივი ჩაიდნის ფსკერზე მოვათავსოთ დოლბანდის ორმაგი ტამპონი, რომელშიც იქნება გაფენილი 5—8 კბილი დანაყილი ნივრის მასა. ნიორთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ ხახვიც (ერთი თავი) და ბოლოკი (ერთი საშუალო თავი), ფიჭვის წიწვები 8—10 გრამი).

ჩაიდნის ტუჩი უნდა ჩავიდოთ პირში. ცხვირის ნესტოებს მოუჭიროთ თითები 8—10 წუთის განმავლობაში ნელ—ნელა ვისუნთქოთ ნივრიანი ჰაერი. ამოსუნთქვა უნდა მოხდეს ცხვირიდან. 5—6 ინჰალაციის შემდეგ გაქრება ისეთი შემაწუხებელი ავადმყოფობანი, როგორიცაა სურდო, ხველა ანგინა ბრონქიტი ფილტვების ანთებაც კი.

ანგინის დროს უფრო რეკომენდებულია ხახვი, ნიორი კი უფრო მეტად ფილტვების დაავადებისას

**სურდოს დროს**

სასარგებლოა გახეხილი ან დაჩეჩქვილი ხახვი, და ნიორი. უნდა გახვიოთ სუფთა დოლბანდში, დაიდოთ ნესტოებთან 10 წუთის განმავლობაში და ისუნთქოდ.

**ძლიერ თუ გაცივდით**

აიღეთ სქელი შალის ნაჭერი, გაჟღინთეთ მძრის კარაქისა და ქაფურის ნარევით (თანაბარი ოდენობით) და შეიფარეთ გულმკერდის არეში მთელი ღამის განმავლობაში.

**კუჭის წყლულით, ჰიპერტონიით და ღვიძლით დაავადებისას**

გამოიყენეთ კარტოფილის წვენი. კარტოფილში უხვადაა ტონუსის ამწევი ნივთიერებები.

ნახევარი ჭიქა უმი კარტოფილის წვენი დილით და საღამოთი მიიღეთ ჭამის წინ 30—40 წუთით ადრე.

**თუ მხედველობას უჩივით**

აიღეთ ხორბლის მარცვალი 50—100 გრამი, გარეცხეთ დაასხით იმდენი წყალი, რომ ზემოდან არ ფარავდეს, დადგით თბილ ადგილას 24 საათში ან უფრო მოკლე ვადებით გამოუვა ღივი, ეს წანაზარდი კი არ უნდა გაიზარდოს 1 სანტიმეტრამდე, ვინაიდან ამ შემთხვევაში კარგავს სამკურნალო თვისებებს. მარცვალი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დაასხით იმდენი ადუღებულ წყალი, რომ მიიღოთ ფაფისებრი მასა. ამ მასას დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ცხიმი ან თაფლი და მიირთვით ყოველ დილით ჭამამდე 1 საათით ადრე ერთი—ორი კვირის განმავლობაში შეამჩნევთ ძლიერ—მხედველობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, შეწყდება თმის ცვენა, მაგრდება კბილის ფესვები

ამ საშუალების გამოსაყენებლად საჭიროა ვიხმაროთ მომინანქრებული ან მინის ჭურჭელი

მხედველობას აუმჯობესებს აგრეთვე სტაფილოს წვენი, რომელიც უნდა მივიღოთ ჭამამდე 30—60 წუთით ადრე

## ჩვენი ინფორმაცია

## «კათარზისის» ეგიდით

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" რაიონულმა ორგანიზაციამ შემოიტანა ჰუმანიტარული დახმარება უმუშევარი პენსიონერი პედაგოგებისათვის.

ტვირთის გაცემა უკვე დაიწყო. ეს კიდევ ერთი სიკეთეა გაჭირვებული, შიმშილის პირას მისული ჩვენი ღვაწლმოსილი მასწავლებლებისათვის.

ტვირთის მიღება შეიძლება ყოველდღე, ოფიციალური სიის თანახმად, შეუფერხებლად, უმტკივნეულოდ.

## მწირ სუფრას გაიმდიდრებთ

1,5—2 კილოგრამი ვაშლი გაყავით ხუთ თანაბარ ულუფად დაუმუშავებელი ან ვაშლის კერძის სახით. მაგალითად, სალათა: 300 გრამი ძირქისა და თესლისგან გასუფთავებული მჟავე ვაშლი გახეხეთ და შეურიეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშისა და ნიახურის ფესვები (50—50 გრამი) წინასწარ ფესვებს მოაცილეთ თხელი კანი, შეაზავეთ ლიმონის წვენით (20—50 გრამი) და მაიონეზით.

მარილი და წიწაკა დააყარეთ გემოვნების მიხედვით.

მეორე რეცეპტი: ვაშლისა და ხახვის სალათა. ორი ცალი მჟავე ვაშლი გახეხეთ, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ერთი ცალი ხახვი, ნიახური და მაიონეზი. ხშირად დამატებით შეგიძლიათ მიირთვათ ერთი ჭიქა უშაქრო ჩაი ან ასკილის ნახარში

## ყურადღება

მოქალაქეები, რომლებსაც რაიონის სახერხებზე მიტანილი აქვთ ხე—ტყე დასამუშავებლად, დაუყოვნებლად უნდა გამოცხადნენ ცაგერის სატყეო მეურნეობაში მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე და წარმოადგინონ ტყის საჭრელი ბილეთები. წინააღმდეგ შემთხვევაში ხე—ტყე ჩამოერთმევათ და პრეტენზიები არ მიიღება.

რაიონის პროკურატურა.
პოლიციის განყოფილება
ცაგერის სატყეო მეურნეობა.

# გილოცავთ

ნაირა ფუტკარაძეს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. ისეთი გაზრდილიყოს ქვეყანა მის კალობას შენატროდეს.
გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის კოლექტივი.

ნუნუ, შიო ომანაძეებს
გილოცავთ ვაჟის შეძენას, გაზრდილიყოს ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი.
წიფერჩის გაგა—გალის თანამშრომლები.

ნუნუ შიო, ლოლა შალვა ომანაძეებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
ჟორა კუხალაშვილი ოჯახით.

## ხსოვნა

აკა[illegible] ვასილის ძე მეგრელი

მეხუთე შემოდგომა მოვიდა რაც ჩვენთან აღარა ხარ. 1989 წლის 12 ოქტომბერს შეწყდა შენი გულის ცემა.

მიდის დრო, თუ რამ სიხარული გამოკრთა, უცბად დანახვისთანავე გვაგვარავს შენი დარდი, რომ ჩვენს შორდით აღარა ხარ, აღარ გვესმის შენი ჰკვიანური ლაპარაკი, როგორ გვარიგებდი და გვასწავლიდი ცხოვრების ავკარგს. რაც კარგი გიკეთებია ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ კაცური კაცობა მაინც უკვდავად რჩება. გჯეროდეს, რომ შენი სახელი „კაკო ბიძია" აჩრდილივით წაგვყვება ყველგან, სადაც ვიქნებით.

გულს გვიგრილებს და დარდს გვინელებს შენი დატოვებული ოჯახი, ქალბატონი მათიკო გიცოლა რომელიც მზრუნველობას არ აკლებს შენ საფლავს და სახლ—კარს, იცოცხლოს მან მარადჟამს შენი სახელის უკვდავსაყოფად.

იძინე ტკბილად იმ ქვეყანაში, თუ კი ამას ძილი ჰქვია, ღმერთმა ნათელი არ მოაკლოს შენს სპეტაკ სულს.

**შენი დისშვილები, ძმისშვილები.**

რაისაავადმყოფოს სასწრაფო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცო მურცხვალაძეს დედამთილის

**ანეტას**

და ნანა მურცხვალაძეს მამიდაშვილის

**ალიოშას**

გარდაცვალების გამო.

წიფერჩის გაგა—გალის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა და ლალი გენდელიანებს დედამთილის

**ჟუჟუნას**

გარდაცვალების გამო.

შოთა მუშკუდიანი, ვალიკო კოპალიანი, ვალოდია თოდიძე, ბიჭიკო ქარსელაძე მარო სალინაძე, ზურამ ნემსაძე, ტატიანა ყურაშვილი, ბუჭუ მამარდაშვილი ავთო ჩორგოლიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ინგელი, ზაურ ჩაფრავებს

**ლუდუკი მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

კომუნალური მეურნეობის სამმართველოს თანამშრომელები თანაუგრძნობენ ინგული მუშკუდიანს მამის

**ლუდუკი მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

**დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი**

რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე

გაზეთი მუშაობს თავისუფალი ბრძოლის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

**რედაქციის მისამართი:**
384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. [illegible] ტელეფონი 53—31.

ცაგერის რაიონული სტამბა.